ხელშეკრულება № 2018/64

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი „4“ „აპრილი“ 2018 წ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, შემდგომში წოდებული „შემსყიდველად", წარმოდგენილი ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის, **ვასილ ჯანჯღავას** სახით და **სს „სილქნეტი“** შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად", წარმოდგენილი გაყიდვების მიმართულების დირექტორის **თამარ სამხარაძის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „საქონელი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7 „ინსპექტირება“ – ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

2. ხელშეკრულების საგანი

უკაბელო (CDMA) ტელეფონის შესყიდვა (CPV-32552110)

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **50.00 (ორმოცდაათი) ლარს**.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) განახორციელოს ერთი უკაბელო (CDMA) ტელეფონის მიწოდება, ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, თევდორე მღვდლის №40 ;

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ინსპექტირების განხორციელება;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. გარანტია

5.1 შესყიდვის ობიექტზე ვრცელდება გარანტია მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 თვის განმავლობაში.

5.2 თუ საგარანტიო პერიოდის განმავლობაში საქონლის ექსპლუატაციისას გამოვლინდება დეფექტი ან/და ნაკლი, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის შეტყობინებიდან გონივრულ ვადაში უზრუნველყოს დეფექტის აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით, ან/და საქონლის ჩანაცვლება ახალი, ექსპლუატაციაში არ მყოფი ანალოგიური პარამეტრების მქონე საქონლით.

6. ინსპექტირება

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს/პირებს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ინსპექტირების განხორციელების დროს.

6.2 ინსპექტირებას განახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი სპეციალისტები - თამარ სხიერელი და ზაზა გურასპაშვილი, რომელთაც შეუძლიათ ინსპექტირების განხორციელება, როგორც ინდივიდუალურად, ისე ერთობლივად.

6.3 შემსყიდველის მიერ ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

6.4 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული საქონელი, მიმწოდებელი ვალდებულია 1 (ერთი) სამუშაო დღეში გამოასწოროს წუნი.

7. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

გ) დაფინანსების წყარო - 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

8.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და თუ მიმწოდებელი დღგ-ს გადამხდელია, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, შემოსავლების სამსახურიდან შესაბამისი ცნობის წარმოდგენიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

8.3 შემსყიდველი უფლებამოსილია დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დააკავოს მიმწოდებელზე გადასარიცხი თანხიდან.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 და 6.4 პუნქტებით განსაზღვრული პირობის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე წუნდებული საქონლის ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

10.3 წინამდებარე ხელშეკრულების 8.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,02%-ის ოდენობით.

10.4 იმ შემთხვევაში, თუ ვადაგადილებული დღეების რაოდენობა შეადგენს 10 დღეს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მომწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%–ის ოდენობით.

10.5 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2018 წლის 20 მაისის ჩათვლით.

15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა პირობები

15.1 ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი – შემსყიდველს.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, წარმოდგენილი ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის **ვასილ ჯანჯღავას** სახით, **მისამართი:** ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №24ა, **ტელეფონი:** 240-58-15, **საბანკო რეკვიზიტები:** ანგ.№GE24NB0330100200165022, სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22, ს/კ – 203845349	**სს „სილქნეტი"** წარმოდგენილი გაყიდვების მიმართულების დირექტორის **თამარ სამხარაძის** სახით, **მისამართი:** ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ.95 **ტელეფონი:** 2 91 17 74 **საბანკო რეკვიზიტები:** ანგ.№GE97TB7404936070100004,, სს „თიბისი ბანკი", კოდი: TBCBGE22, ს/კ – 204566978

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

2018 წლის „4" „აპრილი"

ვადასტურებ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, უკაბელო (CDMA) ტელეფონის შესყიდვასთან დაკავშირებით, სს „სილქნეტთან" ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი	–	ვასილ ჯანჯღავა	
ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	–	იულია ტყეშელაშვილი	
ეკონომიკური დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი	–	ნანა გახოკიძე	
მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი	–	ზვიად ვეკუა	
მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი	–	ზაზა გურასპაშვილი	
მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი	–	თამარ სხიერელი	